# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება №01–08/21

---

07 ივნისი 2012 წ ქ. ბათუმი

**სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის" რექტორის მოადგილეთა კომპეტენციის განსაზღვრისა და რექტორის მოადგილეებისა და რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის გარკვეულ უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, რსუ-ს წესდების მე-13-14 მუხლების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. რსუ-ს რექტორის მოადგილის სასწავლო დარგში, საკურატორო სფეროდ განისაზღვროს რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებით, მათ შორის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო საქმიანობა;

2. რსუ-ს რექტორის მოადგილის სამეცნიერო დარგში, საკურატორო სფეროდ განისაზღვროს რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სამეცნიერო, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

3. რსუ-ს რექტორის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში.

4. რსუ-ს რექტორისა და რექტორის მოადგილის სასწავლო დარგში, სამუშაო ადგილზე არყოფნის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შესრულება დაევალოს რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში.

5. საკურატორო სფეროში მომზადებული ყველა დოკუმენტის ვიზირება განხორციელდეს შესაბამისი რექტორის მოადგილის მიერ;

6. სტუდენტებთან/მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებებზე რექტორის ნაცვლად ხელმოწერის უფლებამოსილება გადაეცეს რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში;

7. რსუ-ს აკადემიური/მასწავლებელთა/სპეციალისტთა პერსონალის, ასევე რსუ-ს ფაკულტეტების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხთან დაკავშირებით შესაბამისი ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება მიენიჭოს რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (სამსახურებრივ ბარათზე რექტორის რეზოლუციის შესაბამისად).

8. რსუ-ს აკადემიური/მასწავლებელთა/სპეციალისტთა პერსონალის, ასევე რსუ-ს სასწავლო დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან/სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით შესაბამისი ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება მიენიჭოს რსუ-ს მოადგილეს სასწავლო დარგში (სამსახურებრივ ბარათზე რექტორის რეზოლუციის შესაბამისად).

9. რსუ-ს აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის, ასევე რსუ-ს სასწავლო დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სამეცნიერო საქმიანობის წარმართვასთან/ორგანიზებასთან/სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით შესაბამისი ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება მიენიჭოს რსუ-ს მოადგილეს სამეცნიერო დარგში (სამსახურებრივ ბარათზე რექტორის რეზოლუციის შესაბამისად).
10. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს;
11. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,რექტორის მოადგილეთა კომპეტენციების განსაზღვრის შესახებ" რსუ-ს რექტორის 2010 წლის 10 აგვისტოს №1-18 ბრძანება;

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

**რექტორი, სრული პროფესორი** **ა. ბაკურიძე**